

ხათუნა ბერიძე
ასოცირებული პროფესორი
ხათუნა დიასამიძე
დოქტორანტი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

თანამედროვე ქართული ლიტერატურის თარგმანის კორპუსლინგვისტური ანალიზი პოსტკოლონიალიზმის პარადიგმაში

თეზისები: თანამედროვე თარგმანის თეორეტიკოსების აზრით, თარგმანი კოლონიასთან ასოცირდება, რადგან, კოლონიასავით, ისიც ახშობს დედნის გმირთა რეალურ იდენტობას. თარგმნის პროცესში, ნებსით ან უნებლიეთ, სუბიექტური მიზეზებითა თუ ობიექტური გარემოებებით, ავტორის იდეოლოგიასა და ენობრივ პოლიტიკას მთარგმნელის იდეოლოგია და ენობრივი პოლიტიკა ერწყმის და ეს ორი ხმა ან ჰარმონიაშია ერთმანეთთან ან დისონანსში. სტატიაში წარმოდგენილია გურამ დოჩანაშვილის *მხიარული ბორცვის*, აკა მორჩილაძის *კავდატა ინ ჯორჯიას*, ზაზა ბურჭულაძის *ფონოგრამის*, ნუგზარ შატაიძის *ნოემბრის წვიმისა* და რეზო გაბრიაძის *თეთრი ხიდის* ინგლისური თარგმანების ინტერდისციპლინური ანალიზი, რომელიც აერთიანებს თარგმანმცოდნეობის თანამედროვე თეორიულ მოსაზრებებს, პოსტკოლონიური თარგმანის თეორიასა და კორპუსლინგვისტიკას. თარგმნილი მოთხრობების კორპუსლინგვისტური ანალიზი ჩატარდა ტექნოლოგიური პლატფორმის, პარალელური კორპუსის ლინგვისტური ანალიზატორის გამოყენებით. კვლევით დასტურდება, რომ კორპუსლინგვისტურ ანალიზს უნარი შესწევს, მნატვრული თარგმანის თვისებრივ-ხარისხობრივი მაჩვენებლები ზუსტი ციფრებით განსაზღვროს. განხორციელებული კვლევების მიზანი იყო ე.წ. „ავტორის ხმის“ თარგმანში ასახვის ხარისხის რაოდენობრივი განსაზღვრა, რაც აკადემიური თარგმანისადმი ძირითადი მოთხოვნაა. ანალიზატორის საბაზისო ვერსია

ბსუ-ში 2011 წელს შევექმენით, ხოლო 2017-2020 წლებში თარგმანისა და ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრში იგი განვაახლეთ. სტატიაში წარმოდგენილია ანალიზატორის მუშაობის პრინციპები, ტექსტების მარკირების მეთოდოლოგია და თეგების ანაკრების ნიმუშები რამდენიმე ტაბულის სახით. კვლევებში ჩართულები იყვნენ ბსუ-ს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტები.

საკვანძო სიტყვები: პოსტკოლონიური, თარგმანი, კორპუსლინგვისტიკა, ლინგვისტური ანალიზატორი

Abstract: “Once Upon a Time in Georgia,” «Funny Hill,» «Phonogram,» «November Rain,» and “White Bridge” belong to the most popular contemporary Georgian authors: Aka Morchiladze, Guram Dochanashvili, Zaza Burchuladze, Nugzar Shataidze’s and Rezo Gabriadze respectively. Co-funded by the Ministry of Culture and Monument Protection of Georgia within a framework of a cultural/commercial project, a volume of Contemporary Georgian Literature, containing 25 short stories, including the stories mentioned above, was published in 2012 by Dalkey Archive Press, based in the US and the UK. The paper analyzes above short stories through the theoretical and metaphorical conceptual frameworks of the Postcolonial Translation applying a corpus-based approach. The paper presents the methodology of the interdisciplinary study of translation, integrating politics, sociology and linguistics of translation. The research was carried out on the technological platform developed at the Translation and Interdisciplinary Centre of the Batumi Shota Rustaveli State University. A special Tagset was created for the manual mark-up of the SL and TL texts. The gained statistical data and tables, as part of the quantitative research, support qualitative analysis. The findings of the research allow verification, as well as multiple re-use of the marked-up texts for the further research. The scholarly demands towards the academic translation stipulate that reflection of the author’s voice and national properties of the text shall be paramount criteria for the assessment of a translation. The main findings of the study prove that knowledge of the source language and culture is mandatory for the translator to meet these criteria, and that fluency in one language may lead to disloyalty towards the author.

Keywords: Postcolonial, translation, Corpus linguistics, linguistic analyzer

კვლევის თეორიული წინაპირობები: პოსტკოლონიური თარგმანის თეორიული და მეტაფორული კონცეპტუალიზაცია

მხატვრული ლიტერატურის თარგმანის სამეცნიერო კრიტიკამ კულტურათმცოდნეობის კვლევის პერსპექტივიდან პოსტკოლონიალიზმის ინტერდისციპლინური პარადიგმა განავითარა. პოსტკოლონიური პარადიგმა იკვლევს თარგმანის თეორიულ და მეტაფორულ ხასიათს. თარგმანის მეტაფორული კონცეპტუალიზაციით, თარგმანი კოლონიასთან ასოცირდება, რადგან, კოლონიის მსგავსად, ისიც ორიგინალის ხატზე საკუთარი ხელწერით ქმნის იმიტაციურ ასლს და ახშობს ავტორისა და დედნის გმირთა რეალურ იდენტობას. თარგმანის თეორიული და მეტაფორული კონცეპტუალიზაცია, რომელიც ანალიტიკურ და ანალოგიის განზომილებებს ეყრდნობა, პოსტკოლონიური კრიტიკის ბინარულ სამეცნიერო საფუძველს ქმნის.

პოსტკოლონიურ პარადიგმაში თარგმანმცოდნეობის კვლევის საგანია ავტორის იდეოლოგიისა და ენობრივი პოლიტიკის თანხვედრის განსაზღვრა მთარგმნელის იდეოლოგიასა და ენობრივ პოლიტიკასთან, ე.ი. რამდენად არის ორი ხმა ჰარმონიაში ან დისონანსში ერთმანეთთან.

თარგმანის თეორიული და მეტაფორული კონცეპტუალიზაციის ერთ-ერთი ფართოდ ცნობილი ნიმუშია კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორის, წარმოშობით ბენგალელი გაიატრი ჩაკრავორტი სპივაკის ნაშრომი *თარგმანის პოლიტიკა*, რომელიც აერთიანებს ფემინისტების, პოსტკოლონიალისტებისა და პოსტსტრუქტურალისტების სამეცნიერო მიდგომებს. ავტორი ე.წ. „მესამე სამყაროს“ ლიტერატურის ინგლისურენოვანი თარგმანის იდეოლოგიურ შედეგებს იკვლევს. სპივაკის ნაშრომში თარგმანის მეტაფორული კონცეპტუალიზაციის ნაწილია „ამბოხი“ წარმოშობით არაევროპელი ფემინისტების მიერ საკუთარი წიგნების ინგლისურად თარგმნის პრაქტიკის წინააღმდეგ (ბერიძე, *თარგმანი და პოსტკოლონიალიზმის თეორია, მთარგმნელობითი იმპერიალიზმი* 21-22). მკვლევარი აკრიტიკებს იმ ფაქტს, რომ ამ თარგმანებში გაუჩინარებულია პოლიტიკურად ნაკლები ძალმოსილების მქონე ინდივიდებისა და კულტურების იდენტობა. ავტორი დასავლეთევროპულ ფემინისტებსაც აკრიტიკებს, რადგან ისინი აუცილებლობად მიიჩნევენ, წარმოშობით არაევროპელმა ფემინისტებმა ინგლისურ ენაზე თარგმნონ საკუთარი ფემინისტური ლიტერატურა. სპივაკის ნაშრომიდან ამონარიდის მომდევნო ნაწილში კი თვალსაჩინოა

La traduction comme dialogue interlingual et interculturel

თარგმანის მეტაფორული კონცეპტუალიზაციიდან გადასვლა თარგმანის თეორიულ, კერძოდ ლინგვისტიკურ კონცეპტუალიზაციაზე:

ყველაფრის ინგლისურ ენაზე თარგმნით ვწირავთ დემოკრატიის იდეალს და სანაცვლოდ ვალიარებთ უძლიერესის ძალაუფლებას. მესამე სამყაროს ლიტერატურის თარგმანებში მნიშვნელოვანი დანაკარგი გვაქვს, ინგლისურ ენაზე ვთარგმნით იდიომებსა და სინტაქსს, ეს კი ზედაპირული თარგმანია. პალესტინელი ქალი მწერლის სამეტყველო რეპერტუარი იმდენად განეიტრალებული ინგლისურით არის გადმოცემული, რომ მის იდენტობას ვერ ჩასწვდები. მეტიც, შესაძლოა, ვინმე ტაივანელი მამაკაციც კი წარმოიდგინოთ ავტორად, შენიშნავს სპივაკი. (22-23)

პოსტკოლონიური თარგმანის პარადიგმის პრობლემისადმი ანალიტიკური მიდგომის საკითხი საბჭოთა საქართველოში სრულიად ბუნებრივად წარმოიშვა, ვინაიდან ამას ქვეყნის სოციო-პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების გამოცდილება განაპირობებდა.

აღსანიშნავია, რომ გ. სპივაკის კრიტიკას ბევრად უსწრებს წინ ა. ბაქრაძის კრიტიკული შეფასება, რომელიც მან 1978 წელს პუბლიცისტურ წერილში „ქართული წიგნის თარგმანისათვის“ გამოაქვეყნა. ქართველი კრიტიკოსი საბჭოთა ეპოქაში შესრულებული ქართული ლიტერატურის რუსული თარგმანების ენას სწორედ ავტორის იდენტობისა და ეროვნული ნიშნადობის დაკარგვის გამო აკრიტიკებს:

როცა ქართული მწერლობის ნიმუშების რუსულ თარგმანს კითხულობთ, ვის არ შეუძმნევია, როგორ ჰგვანან ჩვენი მწერლები ერთმანეთს. დაკარგულია მათი ინდივიდუალობა, ხასიათის, სტილის, აზროვნების მანერის თავისებურება. არა მარტო ერთი მთარგმნელის შესრულებული თარგმანებია ასეთი, არამედ სხვადასხვისაც.... თარგმანის მიხედვით, ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი მწერლებიც არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ეს კი იმას მოწმობს, რომ მთარგმნელს ეროვნული თავისებურებანი არ გაუთვალისწინებია. (291).

სპივაკის კრიტიკის მართებულობას ამყარებს თარგმანის ამერიკელი თეორეტიკოსის, ლოურენს ვენუტის „მოშინაურებისა“ და „გაუცხოურების“ შლიეერმანერის ფილოსოფიურ პოსტულატებზე დაფუძნებული მთარგმნელობითი სტრატეგიების თეორიზება. „მინდა ისე ვთარგმნო და ისეთი თარგმანი ვიკითხო, რომელიც უცხო ტექსტის ლინგვისტურ და კულტურულ განსხვავებას ასახავს“, წერს ვენუტი წიგნში *The Invisibility of Translator*¹ (ბერიძე, *op. cit.* 170).

1. „მთარგმნელის უჩინარობა“

პოსტკოლონიური თარგმანის კვლევითი პარადიგმის კიდევ ერთი მეტაფორული კონცეპტუალიზაციაა **წერა, როგორც თარგმანი**. აღნიშნულ კონცეპტუალიზაციას საფუძველი ჩაუყარა ინგლისურენოვანი გამომცემლების კრიტიკულმა პოლიტიკამ „მესამე სამყაროს“ კრეოლიზებული ინგლისური ლექსიკითა და სტრუქტურებით გაწყობილი მხატვრული სიტყვიერებისადმი. ეს ლიტერატურა ყოფილ კოლონიებში იშვა და ხასიათდება საერთო ნიშნით: მწერლები ცდილობდნენ საკუთარი ენისა და კულტურის ეგზოტიკური ნიშნადობის ასახვას კოლონიზატორის ენაზე, რაც წერის პროცესს თარგმანსთან, შედეგს კი თარგმანთან აახლოებდა. ასეთი მაგალითები გვხვდება აფრიკელი და ინდოელი ლიტერატორების შემოქმედებაში: ნიგერიელი მწერლები, ტუტუოლა და სონიკა იურუბას ტომის კულტურის შესახებ ჰყვებიან, ინდოელი მწერლის, რაჯა რაოს პროზა რამას თქმულებებს გადმოგვცემს, განელი მწერლის ამა ატა აიდოს პიესები და მოთხრობები ქალის პერსპექტივიდან დანახულ აფრიკულ იდენტობას ასახავს. მათი ინდივიდუალური სამწერლობო სტილის ნიშნები ინგლისური სალიტერატურო ენისთვის ატიპურია, კონტამინირებული და არანორმატიული. ეგზოტიკური ენობრივი ფორმები და ელემენტები, არასტანდარტულად სტილიზებული ინგლისური მიუღებელი აღმოჩნდა გამომცემლობებისათვის. მეტიც, კოლონიზატორის ენაზე წერა ცუდი თარგმანის სიმულაკრუმად იქცა.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კოლონიზატორის ენაზე წერის მეტაფორულ კონცეპტუალიზაციას – „წერა, როგორც თარგმანი“ – ლინგვისტური საფუძველი აქვს: ასეთი დისკურსის პოსტკოლონიური პარადიგმის მახასიათებლებია ორი განსხვავებული კულტურის ჰიბრიდულობა, რაც, რასაკვირველია, სწორედ ლინგვისტურ დონეზეა გამოვლენილი. შესაბამისად, ამ მხრივ კვლევები აქტუალობას იძენს. ასეთი კვლევების წარმართვა შეიძლება სოციოლინგვისტიკის, თარგმანის ლინგვისტიკური და პოსტკოლონიური თეორიების ინტერდისციპლინური მიმართულებებით. მეორეს მხრივ, ცხადი ხდება, რომ პოსტკოლონიური თარგმანის კვლევითი პარადიგმის მეტაფორული კონცეპტუალიზაციის დიაპაზონში ექცევა საგამომცემლო პოლიტიკაც. გამომცემლის, როგორც იერარქიული ძალაუფლების სუბიექტის ნაკლებად სოლიდარული დამოკიდებულება ვლინდება ასიმეტრიული იერარქიული სტატუსისა და ძალაუფლების მქონე მწერლებისა და მთარგმნელებისადმი. აკადემიური მსჯელობის რაკურსში მთარგმნელის იდენტობის პრობლემაც ისევე ექცევა, როგორც მწერლის. ეს პოლიტიკა მწვავედ წამოჭრის თარგმანის სოციოლოგიის პრობლემას. ამას მოწმობს მწერლის სამეტყველო რეპერტუარის თარგმანში არაადეკვატური ასახვის შესახებ ა. ბაქრაძისა და გ. სპივაკის

La traduction comme dialogue interlingual et interculturel

კრიტიკაც, თარგმანში ეროვნული ნიშნადობის შენარჩუნების საკითხის დასმა ამავე კრიტიკოსებისა და ლ. ვენუტის მიერ. შესაბამისად, პოსტკოლონიური თარგმანის კვლევითი პარადიგმის მეტაფორული კონცეპტუალიზაციის დიაპაზონშია განსახილველი ინგლისურენოვანი გამომცემლობების „მესამე სამყაროს“ ლიტერატურის თარგმნისა და გამოცემის პოლიტიკაც.

ეროვნული ლიტერატურის თარგმნისა და ფართო აუდიტორიისათვის წარდგენას ყველა ეპოქაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. თუმცა, თუ საბჭოთა იმპერიის რეჟიმის პერიოდში ა. ბაქრაძე ვერც კი იოცნებებდა, რომ არა რუსული, არამედ ინგლისური ენა გახდებოდა ქართული ლიტერატურის მსოფლიო ასპარეზზე წარმოჩენის ინსტრუმენტი, სადღეისოდ, დამოუკიდებლობის ერთ-ერთი მონაპოვარია ის, რომ გლობალიზებულ სამყაროში ეროვნული მწერლობის წარდგენა ინგლისურ ენაზე შეიძლება.

ქართული ლიტერატურის თარგმანების უცხოური გამოცემა, საიდანაც საანალიზო მასალა შევარჩიეთ, 25 ქართველი ავტორის სხვადასხვა ჟანრის ტექსტების კრებულია. მათი თარგმნა და გამოცემა 2015 წელს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ეგიდით განხორციელდა. აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში მოქმედმა გამომცემლობა Dalkey Archive Press-მა წიგნი გამოსცა და ამერიკასა და ევროპაში გაავრცელა.

ჩატარებული კვლევის მიზანს წარმოადგენდა ქართული ლიტერატურის ინგლისურად თარგმნის მიზეზ-შედეგობრიობის მეტაფორული კონცეპტუალიზაცია პოსტკოლონიური თარგმანის პარადიგმაში. არსებული დოგმატური პრინციპებით თარგმნისა და გამოცემის არსებული დიქტომიის ერთ-ერთი პოლუსია მშობლიური ენიდან უცხო ენაზე თარგმნის მიუღებლობა გამომცემლობების მიერ, თუ მთარგმნელისთვის მშობლიური ენა არ არის ინგლისური ან იგი არ არის ბილინგვი.

კულტურული და ენობრივი ასიმილაციის მოთხოვნის სარედაქციო პოლიტიკა პოსტკოლონიური მწერლებისა და არაინგლისურენოვანი მთარგმნელების პრობლემის საერთო მეტაფორული კონცეპტუალიზაციის ჩარჩო-სტრუქტურას ქმნის.

ამავე პოლუსს თანხვდება ა. ბაქრაძის მოსაზრება, რომელიც მიიჩნევდა, რომ ქართული ლიტერატურის რუსულ ენაზე მთარგმნელი უნდა ყოფილიყო რუსი, რომელსაც ეცოდინებოდა ქართული. საინტერესოა, რომ ბაქრაძე „ჩოხაში გამოწყობილ რუსულს“ უწოდებდა არარუსი მთარგმნელის, ან საქართველოში მცხოვრები ქართველის შესრულებულ თარგმანს (*Op. cit.* 292).

თარგმანის თეორეტიკოსების აკადემიური წრეებისთვის მხატვრული ლიტერატურის მშობლიური ენიდან უცხო ენაზე თარგმნის პრობლემა დიდხანს იყო ტაბუდადებული, თუმცა ამ დიქტომიის მეორე პოლუსი წარმოადგინა სლოვენელი პროფესორის, თარგმანის თეორეტიკოსის ნიკე პოკორნის განსხვავებულმა პოზიციამ: „საფუძველს მოკლებულია თვალსაზრისი, თითქოს თარგმნის პროცესი უდავოდ უფრო ეფექტურია, თუ მთარგმნელი მშობლიურ ენაზე თარგმნის (ბერიძე, *თარგმანმცოდნეობა* 169).

აღნიშნული ლიტერატურის თარგმანის თეორიული და მეტაფორული კონცეპტუალიზაციის პოსტკოლონიური პარადიგმაში გაანალიზება ორმა ფაქტორმა განაპირობა: 2009 წელს წინამდებარე სტატიის ერთ-ერთი ავტორი თანამშრომლობდა² აშშ-ში „დელკი არქაივ პრესთან,“ შესაბამისად, ცნობილი იყო მთარგმნელის კულტურული და ენობრივი ასიმილაციის ან კულტურული და ენობრივი ავთენტურობის მოთხოვნის სარედაქციო პოლიტიკა; უკანასკნელ შემთხვევაში, მთარგმნელს არ მოეთხოვებოდა დედნის ენის ცოდნა. ასევე, როგორც მკვლევარი, ხ. ბერიძე ესწრებოდა გამომცემლობის დამფუძნებლისა და მთავარი რედაქტორის ჯ. ოზრაინის საუნივერსიტეტო მასტერკლასებს, შესაბამისად, ცნობილი იყო დედნის ტექსტის ასიმილაციის სარედაქციო პოლიტიკა. „წიგნის წაკითხვის შემდეგ მთარგმნელმა ის უნდა დახუროს და ამბავი მეხსიერებით მოგვითხროს. ამბავი საინტერესოდ, გასაგებად და სხარტად უნდა გადმოსცეს“ (ბერიძე, *ibid.*).

ცხადია, გამომცემლობის კომერციალიზაციასა და მარკეტინგზე დაფუძნებული სარედაქციო პოლიტიკა სრულიად არ იზიარებს თარგმანის თეორეტიკოსების, ლ. ვენუტისა და გ. სპივაკის კრიტიკულ მოსაზრებებს და ამდენად, აქტუალურია, განვსაზღვროთ, რამდენად ინარჩუნებს დედნის ეროვნულ-კულტურული ნიშნადობის ლინგვისტურ გაფორმებას აღნიშნული გამომცემლობის სარედაქციო პოლიტიკით შესრულებული ქართული ლიტერატურის თარგმანი.

კვლევის განმაპირობებელი მეორე ფაქტორი გახლდათ მწერლის იდენტობისა და ინდივიდუალური სტილის, ე.წ. „ავტორის ხმის,“ მისი სამეტყველო რეპერტუარის თარგმანში ასახვის პრობლემა, ვინაიდან, ინგლისურ ენაზე ყველა ქართველი ავტორი ერთმა მთარგმნელმა ელიზაბეთ ჰეიგეიმ თარგმნა, რომელიც რამდენიმე ვებგვერდზე მიუთითებს, რომ ქართული და ფრანგული ენებიდან თარგმნის³, მათ შორის ქართული ეროვნული წიგნის ცენტრის, „სიტყვები საზღვრების

2. ხ. ბერიძე

3. <http://book.gov.ge/en/translators/index/detailed/5/elizabeth-heighway>

გარეშე⁴, ლიტერატურული კონკურსის, „ბუკერის“ პრიზების ვებგვერდზე⁵.

კვლევის მეთოდთა და ტექნოლოგიური პლატფორმა

სრულიად ცხადია, რომ პოსტკოლონიური მწერლობისა და თარგმანის თეორიული და მეტაფორული კონცეპტუალიზაციის პრობლემები ენის სოციოლოგიზაციის პრობლემებს უკავშირდება. კვლევის ამოცანა გახლდათ თანამედროვე კვლევითი ტექნოლოგიების გამოყენება. მათი გამოყენებით კვლევების წარმართვამ საშუალება მოგვცა, ლინგვისტური თვისებრივ-ხარისხობრივი მონაცემების ანალიზი რაოდენობრივი მონაცემების ანაკრების საფუძველზე ჩაგვეტარებინა. გამოვიყენეთ კვლევის კორპუსლინგვისტიკური ანალიზის ტექნოლოგიური პლატფორმა, რომელიც შევქმენით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის თარგმანისა და ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრში ტექნოლოგიურ სამსახურთან თანამშრომლობით. დამუშავდა Tagset-ი დისკურსის ლინგვისტიკური და თარგმანმცოდნეობითი ანალიზისათვის. Tagset-ი მოიცავს ტექსტის ჰიბრიდულობის, ავტორის იდენტობისა და ინდივიდუალური სამწერლობო სტილის ნიშნების მარკირების სიმბოლოებს. საკვლევად შევარჩიეთ გურამ დოჩანაშვილის *მხიარული ბორცვის*, აკა მორჩილაძის *კავდატა ინ ჯორჯიას*, ზაზა ბურჭულაძის *ფონოგრამის*, ნუგზარ შატაიძის *ნოემბრის წვიმის* და რეზო გაბრიაძის *თეთრი ხიდის* ინგლისური თარგმანები. კვლევის პროცესში ყველა საანალიზო ტექსტი პარალელური კორპუსის ლინგვისტურ ანალიზატორში განსათავსებლად მანუალურად დამუშავდა.

კვლევების შედეგები

როგორც აღვნიშნეთ, თარგმანის თეორიული კონცეპტუალიზაციის პოსტკოლონიური პარადიგმა ავითარებს კულტურათმცოდნეობის, სოციოლოგიისა და პოლიტიკის ახალ, ინტერდისციპლინურ,

4. <https://www.wordswithoutborders.org/contributor/elizabeth-heighway>

აღნიშნულ ვებგვერდზე, ინტერვიუში, ჰეიუეი თარგმანის შემდგომ, ანუ მეორე პროცესად მოიხსენიებს ინგლისურ ტექსტზე დამატებით მუშაობას და აღნიშნავს, რომ ქართულიდან თარგმნა გაცილებით მეტი შრომაა, ვიდრე ფრანგულიდან, რადგან ენათა მონათესავე სინტაქსი, გრამატიკა, ლექსიკა და ყველაფერი დანარჩენი ახლოსაა ინგლისურთან.

5. <https://thebookerprizes.com/nana-ekvtimishvili-elizabeth-heighway-interview-the-pear-field%C2%A0>

ნორმატიულ სისტემას. სისტემის შემადგენელთა ლინგვისტური თვისებრივ-ხარისხობრივი მონაცემების გაანალიზება შესაძლებელია კორპუსლინგვისტიკის კვლევითი მეთოდოლოგიით.

ნოემბრის წვიმის ქართული ვერსიისა და ინგლისური თარგმანის კორპუსლინგვისტიკური ანალიზის (რომელიც ბსუ-ს სტუდენტის, ლ. ზანაქიძის საბაკალავრო ნაშრომის ფარგლებში შესრულდა) შედეგად დადგინდა ნოველის ინგლისურად თარგმნის სტრატეგიები: მოდულაცია ანუ აზრობრივი გავრცობა და პერიფრაზი, ანტონიმური თარგმანი და ნაწილობრივი კომპენსაცია. ტექნოლოგიური პლატფორმის სტატისტიკური ანალიზატორის მონაცემებით, დედნის იდიომატური და მეტაფორული მეტყველება კომპენსაციისა და პერიფრაზის სტრატეგიებით არის გადმოტანილი, ხოლო 53 მეტაფორიდან მხოლოდ 18 ითარგმნა. ავტომატიზებულ რაოდენობრივ მონაცემებზე დაყრდნობით განვსაზღვრავთ, რომ თარგმანის მხატვრული ღირებულების ხარისხი დედნის მაღალმხატვრულ ღირებულებასთან ასიმეტრიას ავლენს. მეტაფორების შინაარსობრივი ტრანსფორმაციები თარგმანის მიმღებ აუდიტორიას ავტორის მაღალმხატვრული მეტყველებისა და აზრის ესთეტიკურად გადმოცემის ნიუანსს უკარგავს.

ეროვნული ნიშნადობის ამსახველი ქართული სოციო-კულტურული რეალიების სათარგმნად გამოყენებულია სიტყვასიტყვითი თარგმანი, რაც თარგმანის უმთავრესი პრობლემაა. *ნოემბრის წვიმის* ინგლისურ თარგმანში დედანში არსებული რუსული ბარბარიზმები დაკარგულია, ეს კი პოსტკოლონიალიზმის სოციოლინგვისტური ნიშნადობის დანაკარგია. გვხვდება მთარგმნელობითი შეცდომაც, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მთარგმნელის მიერ დედნის ენის ცოდნის გარდაუვალ აუცილებლობას: ლექსიკური ერთეული „ბადრაგი“ გაგებული აქვს როგორც „პატიმრები“.

„ყურში ჩაესმოდა ბორკილების საშინელი ჩხარუნი და ბადრაგის ყვირილი.

He could hear the awful clanking of handcuffs and <tr_err>the shouts of men being transported in the convoy</tr_err>“ (ზანაქიძე, *ნუგზარ შატაიძის ნოველის ნოემბრის წვიმის ინგლისური თარგმანის კორპუსლინგვისტიკური ანალიზი* 32).

თ. ნაგერვადის სამაგისტრო კვლევითი ნაშრომის ანალიზით ირკვევა, რომ ე. ჰეიუეიმ ა. მორჩილაძის მოთხრობის, კავდატა *ინ ჯორჯიას* თარგმნისას იმავე სტრატეგიებს მიმართა, რასაც *ნოემბრის წვიმის* თარგმნისას (მოდულაცია ანუ აზრობრივი გავრცობა, პერიფრაზი, კომპენსაცია, ანტონიმური თარგმანი, ნაწილობრივი კომპენსაცია). კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მოთხრობიდან უთარგმნელია 20 ენობრივი ერთეული, რაც თეორიული თუ პრაქტიკული მიდგომებით

La traduction comme dialogue interlingual et interculturel

თარგმანის დედნისადმი ერთგულების პრობლემას წამოჭრის. შეიძლება, დავასკვნათ, რომ უთარგმნელობა განაპირობა ორმა მიზეზმა: ენობრივი ცოდნის დეფიციტით გამოწვეულმა სემანტიკური მნიშვნელობის ბუნდოვანებამ და ფონური ცოდნის უკმარისობამ. ისევე როგორც ნოემბრის წვიმის თარგმანში, კაგდატა ინ ჯორჯიას თარგმნისას, ქართულ ტექსტში არსებული რუსული ბარბარიზმები, ე.ი. ენის სტრატეგიკაციული ვარიანტულობით გადმოცემული პოსტკოლონიალიზმის სოციოლინგვისტური ნიშნადობა, სრულიად უგულებელყოფილია ინგლისურ თარგმანში. 15 ბარბარიზმი ინგლისურად ისევეა თარგმნილი, როგორც ქართული ლექსიკა. აბსოლუტურად მართებული იქნებოდა ამ ლექსიკური ერთეულების ტრანსკრიპციითა და სქოლიოში დართული განმარტებებით წარმოჩენა:

[soc_rus] ჩტო? ჩტო?[/soc_rus]და იმან უცებ დაიღრიალა: [soc_brb.phr] სტალინ უმერ [soc_brb.phr], რომა, [soc_brb.phr] სტალინ უმერ [soc_brb.phr], [soc_rus] სკორა ვსე დომა ბუძიმ, იობ ივო მაწ [soc_rus] What? What? “And he shouts [soc_anthrp]Stalin[/soc_anthrp] [soc_rus] umir[/soc_rus], [soc_anthrp]Stalin[/soc_anthrp] soc_rus]umir[/soc_rus] ’— [soc_anthrp]Stalin[/soc_anthrp] is dead, [soc_anthrp]Stalin[/soc_anthrp] is dead. (ნაგერვაძე, კორპუსი როგორც ორენოვანი მხატვრული მეტყველების ლინგვისტური ანალიზატორი 41)

კორპუსული კვლევით მიღებული სტატისტიკური მონაცემების ვიზუალიზაციის ინსტრუმენტები თარგმანის თვისებრივ-ხარისხობრივი ანალიზისა და დასკვნების რაოდენობრივ მონაცემებზე დაყრდნობით გამოტანის საშუალებას გვაძლევს. წარმოდგენილია კორპუსლინგვისტიკური ანალიზატორით ავტომატურად მიღებული დედნისა და თარგმანის მონაცემები თ. ნაგერვაძის სამაგისტრო ნაშრომიდან; საკვლევი ტექსტია გურამ დოჩანაშვილის მხიარული ბორცვი, გვერდი 43:

ქართული ტექსტი		ინგლისური ტექსტი	
მეტაფორა	28	მეტაფორა	3
ეპითეტი	31	ეპითეტი	1
შედარება	4	შედარება	4
ვოკატივი	35	ვოკატივი	21
კოლოკვიალიალური მეტყველება	4	კოლოკვიალიალური მეტყველება	0
რეგისტრის ცვლილება	2	რეგისტრის ცვლილება	10

	მთარგმნელობითი შეცდომა	12
	გამოტოვება	9
	მთარგმნელის მიერ ჩამატება	2
	ლექსიკური ერთეულის შეცვლა	2
	ნეიტრალური ლექსიკით თარგმნა	28

მხიარული ბორცვის თარგმანში ასევე საყურადღებოა მთარგმნელობითი შეცდომები, რაც ისევეა გამოწვეული ენის ცოდნის დეფიციტით, როგორც ნ. შატაიძის მოთხრობის თარგმანის შემთხვევაში. ჰეიუეის არასწორად აქვს გაგებულნი ფრაზა: „არ შეშინდი, კი,“ რის გამოც თარგმანში შინაარსი აზრნაცვალა:

რაც შენ მაშინ სისხლი დაღვარე... [tr_err]არ შეშინდი კი/[tr_err], რაც მართალია, მართალია.

that very time when you shed blood . . . [tr_err]And at times you were even afraid/[tr_err] , as is right, as is right (ნაგერვაძე, 51).

ამავე თარგმანში კიდევ ერთი შეცდომაა: სემანტიკურად პოლისემიური ლექსიკური ერთეულისთვის „მეჯლისი“ შერჩეულია შეუსაბამო ვარიანტი: „სასამართლო სხდომა“ (court session), რაც ასევე ფონური ცოდნის უკმარისობას უნდა მივაწეროთ:

და როცა [soc_phr] მეჯლისზე [/soc_phr] მთელი ისპაჰანელი დიდებულების თანდასწრებით შენ და შენი თანამზრახველნი შაჰის ზურგსუკან იდექით, და როცა შეატყვევ, პატარაზე რომ შეთვრნენ, მოლოდინით აღსავსე რუსტამ ბეგისაკენ გაიხედე და ოდნავ დაუქნიე თავი.

and when at the next [tr_err]court/[tr_err] session, in the presence of all the great figures of Isfahan, you and your accomplice stood behind the shah's back, you waited until you sensed they were slightly drunk, then glanced at Rustam Beg, full of anticipation, and gave a slight nod of your head. (51)

კორპუსლინგვისტიკური ანალიზატორით ავტომატურად მიღებული შედეგების ტაბულა თ. ნაგერვაძის სამაგისტრო ნაშრომიდან წარმოგვიდგენს ზ. ბურჭულაძის მოთხრობის, *ფონოგრამის* თარგმანის დედანთან შეპირისპირების მონაცემებს (გვ. 54):

La traduction comme dialogue interlingual et interculturel

ქართული ტექსტი		ინგლისური ტექსტი	
მეტაფორა	4	მეტაფორა	1
ტოპონიმი	5	ტოპონიმი	4
იდიომი	1	იდიომი	0
ბიბლიური ალუზია	16	ბიბლიური ალუზია	5
ფრაზა	13	ფრაზა	3
რეალია	3	რეალია	2
		მთარგმნელობითი შეცდომა	11
		აზრობრივი განვრცობა	5
		მთარგმნელის ჩამატება	5
		ნეიტრალური ლექსიკით თარგმნა	18
		გამოტოვება თარგმანში	6
		მთარგმნელობითი ტრანსფორმაცია	5

აზრობრივი ამბივალენტობისთვის დამახასიათებელი მთარგმნელობითი შეცდომები გვხვდება *ფონოგრამის* თარგმანშიც:

[tr_err] ეშმაკს, რომელიც ფილმის პროდიუსერად გაგეცნო, ორი კვირის წინ ხელი მოუწერე რაღაც ფურცელზე
[tr_err] Two weeks ago you signed a piece of paper for the devil who introduced you to the film“ (61).

ავტორის მეტაფორა პროდიუსერს ეშმაკთან აიგივებს, მასთან ხელის მოწერაში კი ეშმაკთან გარიგებაა სიმბოლიზებული. დედანში ცდუნებისა და ეშმაკთან გარიგების ასოციაციას ამძაფრებს ის ფაქტი, რომ პროდიუსერი უცნობია, თარგმანში კი სწორედ ეს ასოციაცია იკარგება; ვკითხულობთ, რომ პერსონაჟი ხელს აწერს ეშმაკთან, ვინც ფილმოგრაფიას აზიარა. ცხადია, თარგმანში იმპლიციტრებულია დედნისგან განსხვავებული მნიშვნელობა. ამბის დრამატული განვითარებისა და მოულოდნელობის ეფექტი, რასაც ადამიანის ცხოვრებაში ეშმაკთან გარიგების შემდეგ უნდა ველოდეთ, თარგმანში დაიკარგა.

ამავე მოთხრობაში ვხვდებით უთარგმნელ წინადადებებსაც, რომლებშიც კოდირებულია ეროვნული იდენტობის ელემენტები:

[tr_omis] ლას-ვეგასამდე თელავს ძალიან ბევრი უკლია [tr_omis];
სხვათა შორის, ამბობენ, [tr_omis] შალის[tr_omis] წინდებსაც
კარგად ქსოვსო“ (60).

კორპუსლინგვისტიკური კვლევის ტექნოლოგიური პლატფორმის ვიზუალიზაციის, კვლევის მეთოდის სისწორისა და მიღებული შედეგების ვერიფიკაციის კიდეც ერთი ინსტრუმენტი Tagset-ის მონაცემებს წარმოგვიდგენს. ნიმუში ალექსანდრე ი. ტარიელაძის საბაკალავრო ნაშრომიდან: *თანამედროვე ქართული მოთხრობების ინგლისური თარგმანის კორპუსლინგვისტიკური ანალიზი*, გვერდი 23:

ცხრილი 3.

ენობრივი ერთეული	რაოდენობა	
	ქართულ ტექსტში	ინგლისურ ტექსტში
<stl_mtf>- მეტაფორა	9	3
<stl_hip> – ჰიპერბოლა	1	0
<stl_sml> – შედარება	1	3
<stl_arq> – არქაიზმი	2	0
<lng_clc> – კოლოკაცია	0	10
<lng_adj> – ზედსართავი სახელი	10	6
<soc_tpn> – ტოპონიმი	2	2
<soc_brb> – ბარბარიზმი	4	0
<soc_rel> – სოციალური რეალია	1	0
<tar_lex.add> – ლექსიკური დამატება		9
<tar_err> – მთარგმნელობითი შეცდომა		10
<tar_lexchg> – ლექსიკური ჩანაცვლება		14
<tar_omis> – მთარგმნელობითი გამოტოვება		11
<tar_circumlctn> – აზრობრივი გავრცობა		6

რეზო გაბრიაძის თეთრი ხიდის ამავე კრებულში წარმოდგენილ თარგმანს თვისებრივ-ხარისხობრივად ახასიათებს ი. ტარიელაძის კვლევის შედეგად ლინგვისტური ანალიზატორით მიღებული რაოდენობრივი მონაცემები. დგინდება, რომ ჰეიუესის მთარგმნელობითი

სტრატეგიები ამ შემთხვევაშიც ლექსიკურ-სტილისტიკურ ტრანსფორმაციებზეა ორიენტირებული.

თარგმანის ენობრივ სიმწირეზე მეტყველებს სტატისტიკური ანალიზი. ისეთი აბსტრაქტირებული ფენომენი, როგორცაა „ავტორის ხმა,“ არის ავტორის თხრობის სტილი, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს დაცული თარგმანში. დიგიტალური პლატფორმის რაოდენობრივი მონაცემების ვიზუალიზაციის ინსტრუმენტი გვიჩვენებს, რომ რ. გაბრიაძის სამეტყველო რეპერტუარში 9 მეტაფორაა, თარგმანში კი მხოლოდ 3 აისახა. გამოტოვებულია ჰიპერბოლა და არქაიზმი; გაინგლისურებულია დედნის რუსული ბარბარიზმები, რითიც, ისე როგორც ნ. შატაძისა და ა. მორჩილაძის მოთხრობების თარგმანებში, პოსტკოლონიალიზმის სოციოლინგვისტური ნიშნადობა წაშლილია.

თეთრი ხიდის ინგლისურ თარგმანში დაშვებულია რამდენიმე მთარგმნელობითი შეცდომა, რომელთაგან განსაკუთრებით საყურადღებოდ მივიჩნით ერთ-ერთი: კონცეფტი „ხილფაფა“ ავტორს ბარბარიზმით აქვს გადმოცემული: „ქეთო პავიდლოიანი კოვზის პირიდან გამოლებას ცდილობდა“. როგორც ჩანს, „-იანი“ ჰეიუეიმ გვარის ბოლოსართად მიიჩნია. ასე მივიღეთ თარგმანში პერსონაჟი „ქეთო პავიდლოიანი.“ „Keto Pavidloian seemed unable to close her mouth“ (27).

დასკვნა

კვლევებმა დღის წესრიგში კიდევ ერთხელ დააყენა თარგმანის ხარისხის პრიორიტეტულობისა და აქტუალურობის საკითხი. ენისა და კულტურულ-პოლიტიკური ფონური ცოდნის გარეშე თარგმნილი ლიტერატურული ტექსტი არააკადემიურ თარგმანად უნდა ჩაითვალოს.

ქართული ლიტერატურის გაანალიზებულ ინგლისურ თარგმანებში, განსხვავებით საბჭოური თარგმანებისაგან, არ ირღვევა ავტორისა და ტექსტის იდეოლოგია, თუმცა წარმოჩენილი არ არის კოლონიზაციური პოლიტიკით გამოწვეული ენის სტრატეგიკული ვარიანტულობა, რაც ხაზგასმულია დედანში.

პოსტკოლონიალიზმის პარადიგმაში თარგმანის თეორიული და მეტაფორული კონცეპტუალიზაციის მიზნით შემუშავებული ინტერდისციპლინური კვლევითი მეთოდიკა საშუალებას გვაძლევს:

1. თარგმანის ანალიზი ნახევრად ავტომატურ რეჟიმში წარმართოთ;
2. პარალელური კორპუსის ტექნოლოგიური პლატფორმის ლინგვისტური ანალიზატორის სტატისტიკური მონაცემების ავტომატური ვიზუალიზაციის ინსტრუმენტით კვლევების ვერიფიკაცია

უზრუნველვყოთ; 3. თარგმანის ხარისხსა და თვისებრივ მხარეზე რაოდენობრივ მონაცემებზე დაყრდნობით ვიმსჯელოთ.

ბიბლიოგრაფია

- ბაქრაძე, აკაკი, თბზულეზანი, ტომი V. თბილისი, ნეკერი, ლომისი, 2005.
- ბერიძე, ხათუნა, თარგმანი და პოსტკოლონიალიზმის თეორია, მთარგმნელობითი იმპერიალიზმი, მონოგრაფია, ბათუმი, გამომცემლობა „აჭარა“, 2018.
- ბერიძე, ხათუნა, თარგმანმცოდნეობა, სახელმძღვანელო, ბათუმი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018.
- ზანაქიძე, ლინდა, ნუგზარ შატაიძის ნოველის „ნოემბრის წვიმის“ ინგლისური თარგმანის კორპუსლინგვისტიკური ანალიზი, საბაკალავრო ნაშრომი, ბათუმი, სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, 2019.
- ნაგერვაძე, თამთა, კორპუსი როგორც ორენოვანი მხატვრული მეტყველების ლინგვისტური ანალიზატორი, სამაგისტრო ნაშრომი, ბათუმი სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, 2019.
- ტარიელაძე, ია, თანამედროვე ქართული მოთხრობების ინგლისური თარგმანის კორპუსლინგვისტიკური ანალიზი, საბაკალავრო ნაშრომი, ბათუმი, სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, 2019.